

სოციალური მუშაკის როლი თბილისის სკოლამდელი აღზრდის
დაწესებულებებში 2020 -2021 წლებში

ინა ფურცხვანიძე

*„ ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და
ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2021

”როგორც წარდგენილი (სამაგისტრო) ნაშრომის „სოციალური მუშაკის როლი თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 2020-2021 წლებში“ ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ინა ფურცხვანიძე ი. ფურცხვანიძე 25.06. 2021

აბსტრაქტი

სკოლამდელი განათლება, კერძოდ კი საბავშვო ბაღი, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ბავშვის განვითარებისა და განათლების სფეროში. მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ ხარისხიანი სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს ბავშვის პოტენციალის გამოვლენას, აკადემიური და სოციალური უნარების გაუმჯობესებას. ბავშვზე ორიენტირებული გარემო ეფუძნება ჰოლისტურ მიდგომას და ხელს უწყობს ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებას. სკოლამდელი განათლების სააღმზრდელო გარემო ორიენტირებულია ბავშვზე და მოაზრებს როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ და სოციალურ უსაფრთხოებას, ხელს უწყობს ბავშვის სწავლასა და განვითარებას, სთავაზობს ახალ გამოწვევებს და აკმაყოფილებს მის ცნობისმოყვარეობას. სწორედ სკოლამდელი განათლება წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემის საფუძველს, რომელმაც უნდა განაპირობოს ბავშვის მზაობა განათლების მომდევნო საფეხურისთვის.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე დაგეგმილი ბაღის გარემო ჯერ კიდევ ვერ ითვალისწინებს ბავშვის კეთილდღეობისათვის საჭირო ყველა ასპექტს. საქართველოში UNICEF-ის მხარდაჭერით ჩატარებული მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ აღმზრდელთა უმეტესობას არ აქვს გავლილი გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, რაც ხელს უშლის ძალადობის შემთხვევათა გამოვლენას და მათზე დროულ რეაგირებას. ძალადობის შემთხვევები, იწვევს რა მწვავე რექციებს, უმეტეს შემთხვევებში დამალულია. ეს ერთის მხრივ ვლინდება იმაში, რომ საზოგადოება არ ფლობს სათანადო ინფორმაციას სახელმწიფო სერვისებზე, მეორეს მხრივ დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორადაა შესაძლებელი ძალადობის ყველა ფორმის ამოცნობა. სწორედ ადრეული პრევენციის, მხარდაჭერის, გაძლიერებისა და ადვოკატირებისათვის იკვეთება სოციალური სამუშაოს როლი.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს განსაზღვროს სკოლამდელ დაწესებულებებში სოციალური მუშაკის როლი. სოციალური მუშაობის, როგორც მომსახურეობის სერვისის დანერგვის აუცილებლობა. წარმოაჩინოს ამჟამინდელი საჭიროება, მოახდინოს დაკვირვება, ინფორმაციის შეგროვება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.

ამ მიზნით, ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელიც იძლევა საშუალებას მოხდეს საკითხის სიღრმისეული შესწავლა.

Abstract

Preschool education, in particular kindergarten, plays an important role in the development and education of the child. Numerous studies show that quality preschool education facilitates identifying a child's potential and improving academic and social skills. A child-oriented environment is based on a holistic approach and promotes the development of physical, cognitive, social and emotional competencies. The preschool education environment is oriented to the child and provides both physical and emotional and social security, promotes the child's learning and development, offers new challenges, and satisfies his/her curiosity. Truly, preschool education is the basis of the education system, which should determine the readiness of the child for the next stage of education.

It should be noted, however, that the kindergarten environment planned at this stage still does not consider all aspects necessary for the well-being of the child. Numerous studies supported by UNICEF in Georgia indicate that most educators have not been trained in child abuse issues, which prevents timely identification and response to the cases of violence. Cases of violence, causing severe reactions, are in most cases hidden. This is reflected, on the one hand, in the fact that the public does not have adequate information about public services, on the other hand, it depends on how accurately it is possible to identify all forms of violence. The role of social work is evident in early prevention, support, empowerment, and advocacy..

The purpose of the paper is to define the role of a social worker in preschool institutions. The need to introduce social work as a service. To demonstrate the current need to observe, gather information, and make relevant conclusions. To this end, the paper uses a qualitative research method, namely lengthy interviews, which allows in-depth study of the issue.

The study was performed in four branches of a private kindergarten. Twenty-five educators and their assistants participated in the study. The study has revealed that kindergarten staff does not have proper information on the fundamental causes of child abuse, on the first signs of violence, the agencies that should be contacted in the event of such fact or reasonable suspicion. They have a vague and inconsistent perception of the rights of the child. Most of the staff are not aware of the functions of a social worker and therefore do not see their need in

the kindergarten. It was also revealed that despite the commitments of both parties, neither the kindergarten nor the local municipality mutually cooperates in this regard.

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ჩემი მუშაობის პროცესში, მაძლევდა რეკომენდაციებს, მეხმარებოდა კვლევის კონცეფციის ჩამოყალიბებაში, მის ჩატარებასა და მონაცემების დამუშავებაში. ასევე მთელი სამაგისტრო საფეხურის განმავლობაში მაძლევდა დიდ სტიმულს და მხარდაჭერას, რაც გახდა ჩემთვის უაღრესად დიდი მოტივატორი.